ᲧᲝᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ. ᲤᲐᲡᲘ 5 ᲙᲐᲞ. ᲙᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 29 ᲛᲐᲘᲡᲘ 1915 Წ. № 5

საქართველო

ხელისმოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა შვებულ დროს დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76,

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., საგანგებო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან.,

4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე,) და ეღირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ წლის დამლევამდე ღირს 5 მანეთი. შეიძლება ფასის გადახდა ამნაირად: პირველ ოქტომბრამდე 3 მანეთი და შემდეგ ორი მანეთი. ჟურნალ „კლდის“ ხელის მომწერთ, რომელთაც გადახდილი აქვთ მთელი წლისა (5 მან.) „საქართველო“ გაეგზავნებათ. მხოლოდ პირველ ოკტომბერამდე. „კლდის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სამს მანეთამდის აქვს შემოტანილი, „საქართველოს“ მხოლოდ პირველი ნომერი გაეგზავნებათ.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

დღეს, 12 საათ. სიონის ტაძრიდან გამოსვენებულ იქნება მათი იმპერატორობითი უდიდებულესობისა ფლიგელ ადიუტანტი თავადი

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲫᲔ

ᲛᲣᲮᲠᲐᲜ-ᲑᲐᲑᲝᲜᲘ

ცხედარი დაკრძალულ იქნება მცხეთის სვეტის ცხოვლის ტაძარში, საგვარეულო აკლდამაში. წირვის დასაწყისი 31 მაისს, დილის 9 საათზე.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲗᲐᲡᲚᲘ

შაბათს, 30 მაისს, 1915 წ.

ᲜᲘᲜᲝ ᲩᲮᲔᲘᲫᲘᲡ

წარმოდგენა

ᲭᲘᲝᲙᲝᲜᲓᲐ

ტრაგედია 4 მოქ. თარგმ. ᲕᲐ. დადვაძისა.

მონაწილეობენ: ნ. ჩხეიძე, ა. ქიქოძე, ნ. გამრეკელი-თორელი, ნ. თოიძე, მედეა, ქორელი, ა. იმედაშვილი, ᲕᲐ. კორიშელი, მ. ჭიაურელი.

სილვიას როლს შეასრულებს **ნ. ჩხეიძე**
ლიუჩიოს როლს „ **ა. იმედაშვილი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

ადგილების ფასი 1 მ. 50 კ-დან 10 კ-მდე
ბილეთები იყიდება თეატრის კასაში

რეჟისორი **მ. ჭორელი.** 2—3

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ

ოთხშაბათს, 3 ივნისს, თელავის საკრებულოს დარბაზში **ს. ᲤᲐᲨᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** თაოსნობით გაიმართება

ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ

ᲡᲐᲦᲐᲛᲝ-ᲛᲔᲯᲚᲘᲡᲘ

სამს განყოფილებად.

1) ლექცია,
2) წარმოდგენა,
3) სიმღერა, დეკლამაცია, შარაყები, თარი, სცენები.

მონაწილეობას მიიღებენ: კიტა აბაშიძე, ოსიკო ბარათაშვილი, ს. ფაშალიშვილი, მსახიობნი ნინო დავითაშვილი, მ. ჭიაურელი, ი. შაშიანელი, ი. საღირაშვილი.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თელავში, ქ. შ. წ. კ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ნინო გოგოლაძესთან.

საღამოს დიასახლისობს **კნეინა ელენე ივანეს ასული ჭავჭავაძისა.** (3—6—2)

კბილის ექიმი ქალი

ᲜᲘᲜᲝ ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔ

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

Ძ. ᲒᲝᲠᲨᲘ

ᲔᲥᲘᲛᲘ Ნ. Მ. ᲙᲚᲘᲛᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡᲐ

მოსე ანთიმოსის ძე

ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და **ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღ. 5—6 საათამდე, კვირა დღეს გარდა. ოლღას ქუჩა, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 29 ᲛᲐᲘᲡᲘ

სულიერი შობის დღე.

ომის დღიდან ბევრი ახალი გასაჭირი წარმოიშვა; უკვე არსებულიდან, უაღრესად გამწვავდა და გართულდა ყველა. ნაკლი შინაური გამომზეურდა.

აეხადა ჩვეულებრივი დღის ნიღაბი ქართულ სინამდვილეს და ვიხილეთ ერის სნეული, განსაცდელის უფსკრულის პირას გადამდგარი.

შიშმა სულის სიღრმეში ჩაგვახედვინა და შეაკრთო ქართველის მთელი ნერვიული ბანდული. ქართველის შიგან წამოიშალნენ წინაპართა მიწოლილი სახენი და ძლიერი ხმა ჰყო ჩამარხული მკვდრების ჯარმა, მყარი ბურჯი, რომელიცაა ყოველი ცოცხალი მომქმედი სულისა. მოხდა აღტკინება და აღრეკა ქართველი კაცის სრულიად სულიერი არსებისა. ეს იყო გამოფხიზლების პირველი მძლავრი ჩამორეკვა. ამან შეაჩერთვა მანამდე გაფანტული ყურადღება ქართველი ადამიანისა და მოუწოდა საღი და თავისთავადი ანალიზისათვის. ფხიზელმა ძიებამ ქართველი გადააცალა საპირადო და საპარტიო მიჯნას, რის გადალმაც გამოჩნდა უნიველსული საქართველო, შემკრეფი და დამტევი თავის წიაღში ყოველგვარი დასური სხვადასხვაობისა, უნიველსული სინამდვილე—სიმართლე, უკამათოთ, უდავოთ შესაყვარი და დასაცავი ყოველი ქართველისაგან. ეს იყო პირველი დიდი ხილვა, ომის წიაღში შობილი. ამას მოყვა ქართველთა შეთანხმების, დაახლოვების პროცესი, რომელიც დღითი-დღე მეტის შეგნებით ღრმავდება.

ამ პროცესის დასასრული გამოსჭედს ერის ენერგიის იმ შეგნებულ ნებისყოფას, რომელიც ერთად-ერთი წინდია ხილული განსაცდელის ასარიდებლად და ჩვენი მომავლის შესაქმნელად.

სულიერ შობას, სულიერი დავაჟკაცება მოსდევს.

როგორი უნდა იყოს ქალთა სკოლა?

ერთი იმ დედაბოძთაგანი, რომელზედაც დამყარებულია ქალთა სკოლის ტიპის გამოსარკვევად დანიშნული კომისიის დასკვნა,—ქალთა სკოლა სამეურნეო ხასიათისა უნდა იყოსო.—ეს გახლავთ, რომ სამეურნეო სასწავლებელი ექვემდებარება სამეურნეო სამინისტროს, რომელიც მეტ შეღავათს იძლევა სწავლის საქმეში, და შეიძლება ყველა საგნები ქართულად ისწავლებოდესო.

დღეს სახალხო განათლების სამინისტრომაც დართო ნება გიმნაზიაში კურსის შესწავლისა დედაენით და, მაშასადამე, ეს საბუთი ქალთათვის სამეცნიერო სასწავლებლის დაარსებისა ნიადაგსა ჰკარგავს. (კანონი 1 ივლისისა 1914 წ.).

მამულის მოვლა არ კიცითო, სწერია კომისიის მოხსენებაში. მრეწველობაში ყველას უკან ჩამოვრჩიო, სოფლის სიყვარული დაგვეკარგა, მაშული ხელიდგან გვეცლებაო... სამშობლო განსაცდელშია და ხსნა... ქალს შეუძლიანო. ქალმა უნდა შეისწავლოს მეურნეობა, დატრიალდეს სოფელში და... ედემად გარდაჰქმნას ჩვენი ქვეყანა: დიდსა ღა პატარას შრომისა, ყაირათისა და მამულის სიყვარული ასწავლოს; საუკუნოდ შეაძულოს ჩვენ თავად-აზნაურობას ქეიფი და გაყიდულ-დაგირავებული მამულის ფულის ფლანგვა; ააღორძინოს, ყველგან მოჰფინოს და ააყვავოს ევროპიული მეურნეობა და მრეწველობა; გაიყვანოს ყველგან გზები, რომ თავის ნაჭირნახულევისთვის ყოველთვის ადვილად მისაღწევი ბაზარი ჰქონდეს; ქვეყანას საკრედიტო ბანკებულებანი მოჰფიწოს, რომ მეურნე ჩარჩთა ჭლანჭებიდგან იხსნას; სწავლა-განათლებამ გააჩაღოს მთელ საქართველოში, რომ იმისი შრომა უკვე შემზადებულ ნიადაგს დაემყაროს და არ ემსგავსოს იმ თესლს იესოს იგავისას, რომელიც დავარდა კლდოვანსა ზედა, სადა არა იყო მიწა ფრიად; მეყვსეულად აღმოცენდა და რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისა, მზე რა აღმოხდა. დასცხა, და რამეთუ ძირნი არა დაებნეს, განხმა.

დიაღ, ედემად უნდა გადააქციოს ჩვენი ქვეყანა ქალმა, რომელსაც გიმნაზიაში სხვათა შორის მეურნეობასაც ასწავლიან. ეს საშუალება იმისთანა უებარი წამალია თურმე, რომ ქალი სოფელს აღარ მოშორდება, საკუთარი მამულიც რომ არა ჰქონდეს, მოჯამაგირედ დადგება, ან იჯარით აიღებს სხვის მამულს და მამის ან პაპის მიერ „გაპარტახებულ“ მამულს ისევ გამოისყიდის.

მოხსენებიდგან არა სჩანს, ეს სასწაული მარტო ქალის ხვედრია, თუ **იმავე ცოდნით აღჭურვილ კაცსაც** შეეხება სოფელში ცხოვრება და ასეთივე სასწაულებრივი მოღვაწეობა. მოღვაწეობის ყოველგვარ დარგში და მაშასადამე სამშობლოსადმი სიყვარულსა და სამსახურში ქალს არავითარი უპირატესობა არ უნდა ჰქონდეს მინიჭებული და, არა მგონია, ამ მხრივ კომისიის წევრნი სხვა აზრისანი იყვნენ.

თუ ეს ასეა, თუ სამშობლოს სამსახური ერთნაირად და თანასწორად სავალდებულოა ქალისა და კაცისათვის, მიკვირს, რატომ აქამდე არ შეიტანეს ვაჟთა გიმნაზიაში მეურნეობის შესწავლა? რაც ხანი ვაჟთა გიმნაზია არსებობს, რამდენ მომზადებულ მეურნეს შესძღვნიდა სოფელს? რამდენ ჩალისფასად გაყიდულ მამულს შეგვანარჩუნებდა? რამდენ სიკეთეს და წარმატებას შეიტანდა ჩვენ უკან ჩამორჩენილ სოფელში?

ქალს რომ საზოგადო საშვალო განათლება მივცეთ, თუ უმაღლეს სასწავლებელში არ წავიდა, უალაგოდ რჩება, ან იძულებულია სულ მცირე ჯამაგირით დაკმაყოფილდეს; თუ უმაღლესი განათლება მიიღო, სამშობლოში ალაგს ვერ იშოვნის და უცხოეთში დარჩება ჩვენთვის სრულიად გამოუსადეგარიო.

მართალია, მაგრამ ვაჟი კი მაგ მდგომარეობაში არ არის? საშვალო სასწავლებელი გაათავა ყმაწვილმა კაცმა, უმაღლესში ვერ წავიდა. თუ კი ქალისთვინ ვზრუნავთ, მეურნედ გამოვიყენოთო, რატომ ვაჟისთვის კი არ უნდა ვზრუნავდეთ? ისიც ხომ მწერლად შედის, ხშირად უჯამაგიროდ? უმაღლესი სწავლით აღჭურვილი ყმაწვილი კაციც ხომ ვერა შოულობს თავის ქვეყანაში ალაგს. რადა ვდებთ ამ განსხვავებას: თავის ქვეყანაში ხომ ალაგს ვერ იშოვიან და—ქალმა უარჰყოს უმაღლესი განათლება. კაცმა კი უმაღლესი განათლება მიიღოსო?

ყმაწვილ კაცს ვეუბნებით:

— მოდი, გიმნაზია გაათავე, მერმე უმაღლესი სასწავლებელი, დიპლომი მიიღე და კაცი გახდი—სამსახურში შედი. მაგრამ შენს ქვეყანაში ალაგს არ გაღირსებენ, იქვე დარჩი, იქვე შეირთე ცოლი და გაამრავლე გადაგვარებული შვილები. მართალია, ჩვენს ქვეყანას უჭირს, ძალიან უჭირს მუშები, მაგრამ შენ კაცი ხარ და.., უმაღლესი განათლება გინდა.

ქალს კი სულ სხვას ვეუბნებით:

— მოდი, საშვალო განათლებას დაჯერდი, მეურნეობა ისწავლე და დატრიალდი იმ სოფელში, საიდგანაც ჩვენ ძალით ვერეკებით შეგნებულ კაცებს.

სოფელი ჭაობია და შეუმჩნევლად, მაგრამ ნელნელა და შეუწყვეტლივ სძირავს ადამიანს.

ამ ჭაობთან საბრძოლველად ქალს ვგზავნით და თან ვეუბნებით: უღელი მარტოდ მარტო უნდა გასწიო, შენს მეუღლეს მოხელედ ვამზადებთ, რომ სხვაგან დარჩეს და სხვაგან იშრომოს.

ლეკვი, ლომისა ერთიაო. ქართველის შვილიც ერთია! ქალი იქნება თუ ვაჟი, ორივეს ერთნაირი სწავლა უნდა მივცეთ, სრულიად ერთნაირი, ერთ და იმავე პროგრამით, ოღონდ ეროვნულ ნიადაგზე დამყარებული. ეროვნულ ნიადაგზე დამყარებულმა სწავლამ უნდა მოახდინოს ის სასწაული, რომელსაც კომისია მეურნეობისაგან გამოელის. აწინდელი გიმნაზია ხეირიან ქალებს ვერ გვიზრდის არა იმიტომ, რომ აქ მეურნეობას არ ასწავლიან, არამედ და მხოლოდ იმიტომ, რომ იქ ყოველივე დეენილია და უარყოფილი.

ეროვნულ ნიადაგზე ღიზრდილი, ქალი იქნება თუ ვაჟი, საშუალო საზოგადო კურსით მომზადებული და განვითარებული, თუ უმაღლეს სასწავლებელში ვერ წავიდა, თვითონაც კარგად გაიგნებს გზას ქვეყნის სამსახურისას და, თუ მეურნეობას შეუდგა, წიგნსაც იშოვნის, დამრიგებელსაც, მაგალითსაც.

სამეურნეო სასწავლებელი რომ მაინც გვინდაო, იტყვიან? გვინდა, მართალია, მაგრამ გვინდა არა მარტო ქალისთვის, არამედ არა ნაკლებ კაცისთვისაც.

ვაჟთა გიმნაზიაში მოსწავლეს ყველას არა აქვს საჭირო მეცადინეობა და ნიჭი, რომ გიმნაზია გაათავოს და უმაღლესი განათლება მიიღოს, როგორადაც ქალთა სკოლაში ბევრი აღმოჩნდება იმისთანა, რომ მეურნეობის შესწავლას არ მოინდომებს და გადასწყვეტს საშუალო და უმაღლესი სწავლის მიღებას.

ამიტომ ქალთა სკოლა, როგორადაც ვაჟთა გიმნაზია არის, საშუალო საზოგადო პროგრამის გიმნაზია უნდა იყოს; ქალს საშუალება უნდა ჰქონდეს მიიღოს იგივე განათლება საშუალო და უმაღლესი, რომელსაც ვაჟს ვაძლევთ, და მხოლოდ მსურველნი ან სუსტი მოწაფენი, ქალი თუ ვაჟი ეგ სულ ერთია, უნდა გადადიოდნენ უკანასკნელ ორ წელს სპეციალურ სამეურნეო სასწავლებელში.

არც გიმნაზიაში აღზრდილი ყმაწვილ-კაცობა, საკმარისად განვითარებული ქვეყნის გაჭირვებულ მდგომარეობის შესაგნებად, თითონვე იუკადრისებს ძველ გზას მოხელეობისას და ახალს მოსძებნის—სპეციალურ, პრაქტიკულ მოღვაწეობისას, ესე ეგი უმაღლეს მეურნეობის და მრეწველობისას.

ივ. მაჭავარიანი.

ᲓᲔᲙᲐᲔᲛᲔᲑᲘ

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲢᲐᲒᲘᲡᲐᲒᲐᲜ

26 მარტს ოსმალეთის ჯარი და მოხალისენი სრულიად განდევნეთ ბათომყარსის ოლქიდან, საზღვარს გადაეცდით და მტრის მიწა-წყალზე ვდგევნეთ მტერი ჭოროხის მარჯვენა ნაპირს და მდინარე თორთუმის ხეობაში. ჩვენი ჯარი იბრძოდა მთა-გორიანში, მიიწევდა ბილიკებით, ზოგჯერ უგზოდაც, ადიოდა მაღალსა და მიუვალ კლდეებზე, გზას იკვლევდა ღრმა თოვლში, თითო ნაბიჯით ართმევდა მტერს ძლიერ გამაგრებულ სანგრებსა და ბოლოს, 21 აპრილს მან ხელთ იგდო მტრის მიწა-წყალი მდინარე ჭოროხ-თორთუმისა და ჩვენი წინანდელ საზღვრის შორის მდებარე. ამ დრომდე ჩვენს ჯარს საქმე ჰქონდა უმთავრესად ოსმალთა მოწინავე და მოხალისეთა რაზმებთან, ხოლო მტრის მთავარი ძალა, თავმოყრილი ამ მიმართულებით, გამაგრებული იყო არდოსტ-იდი-შაქერლი-ქიაღმუსის ხაზით. სარაყამიშის ბრძოლის შემდეგ შეესებულ-გაძლიერებული ოსმალთა ჯარი იდგა ბუნებით ძლიერ და თითქმის მიუვალ ადგილებში. ეს ადგილები მტერს გაემაგრებინა მძლავრი სანგრებითა და მრავალ სართულიან თხრილებით. მაგრამ ამანაც ვერ შეაჩერა ჩვენი სახელოვანი ჯარი, რომელმაც 22 აპრილს დაიწყო იერიში. უცაბედის შეტევით სევრი-ჩაის ხეობით მან ხელთიგდო მტრის სიმაგრეთა პირველი რიგი და შემდეგ, ხუთი დღის განმავლობაში, ერთ სიმაგრეს მეორეზე იღებდა. იგი წყნ მიიწევდა უბრალო ბილიკებით, კლდე-ღრიან ხეობით, 10000 ფუტის სიმაღლეზე ხელით აჭრონდა ზარბაზანი, სიმტით იკვლევდა გზას და 25 აპრილს მიაღწია არდოსტს, ხოლო 26-ს—იდსა.

მრავალი ოსმალო დავატყვიეთ, არდოსტსა და იდში კი ხელში ჩავიგდეთ ბევრი სურსათ-საკვები, ზარბაზნისა და თოფის პატრონა, ყუმბარის ყუთი, ტელეფონ-ტელეგრაფის მოწყობილობა და კანცელარია მე-88 პოლკისა.

ოლთისის მიმართულებით 5 მაისს ჯარმა დავალება დაასრულა. სანამ ჩვენ ამ ოპერაციას ვუნდებოდით, ოსმალებმა ურმიის მხარეს შეაქუჩეს კორპუსი ხალილ-ბეთსა, გააძლიერეს იგი ქურთების მხედრობით და 15 აპრილს იერიშით წამოვიდნენ დილმანისკენ, სადაც ჩვენი მოწინავე რაზმი იდგა. მიუხედავათ ოსმალთა ჭარბობისა, ჩვენი მცირე რაზმი გმირულად აჩერებდა მას და თან მუხანჯიკის მაღლობისკენ იხევდა, დილმანის ჩრდილოეთით რომ მდებარეობს რამდენიმე ვერსის მანძილზე, ამავე დროს მუხანჯიკთან თავს იყრიდა ჩვენი მთავარი ჯარი. აქ 17 აპრილს ოსმალები ძალუმად დაგვეტაკნენ, მაგრამ ღირსეული პასუხი მიიღეს ჩვენებისგან. ორი დღის მკაცრი ბრძოლის შემდეგ ჩვენებმა მედგრად შეუტიეს, სძლიეს მტერსა, პირი აბრუნებინეს, დააცლევინეს დილმანი, დაატოვებინეს მას ნაწილი ბარგისა, ლაზარეთი, და არეკეს ქედზე, რომელიც ოსმალებს წინათვე ჰქონდათ გამაგრებული. ამ გამარჯვების შემდეგ ჩვენ გადავწყვიტეთ საბოლოოთ შეგვემუსრა ეს რაზმი ოსმალთა და გაგვეფანტა მათი სხვა ჯარებიც, რომელნიც ურმიისა და ვანის ტბების შუა იდგა. ჩვენი ჯარის მარცხენა წვერი საერთო იერიშით წავიდა სამი გზით: ალაშქერთისა და დიადანის ხეობით მელაზგერთისკენ, ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ვანისკენ და ურმიის ტბის მოვლით სამხრეთით თავრიზიდან ურმიისკენ.

ალაშქერთის ხეობიდან ეფრატის ხეობით მიმავალი რაზმმა თავიდანვე წინ გაიგდო ქურთების ცხენოსანთა პოლკები, ხოლო ჩვენი ყაზახები მრავალჯერ ეტევოდნენ ცხენდა-ცხენ მოპირდაპირეს,

რომელიც ვერ უძლებდა ჩვენს ვაჟკაცურ იერიშს და უწესრიგოთ მიიხევდა სამხრეთით. 28 აპრილს ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა მარდის იერიშით აიღო მუშის სანჯაკში ქალაქი მელაზგერთი. მეორე დღეს მეორე რაზმმა ხელთ იგდო პატნოსი. შემდგომ ამისა ჩვენმა ჯარმა, სხვა და სხვა მხრით დაგზავნილმა, ძებნა მტერი და გააბნია იგი.

4 მაისს ავიღეთ ვანის ტბასთან მნიშვნელოვანი პოზიცია არჯიში, სადაც ხელი მივეცით ვანისკენ მომავალ ჩვენს მეორე რაზმს. 3 მაისს ოსმალებმა თავი მოიყარეს კოპასთან და წამოვიდნენ მელაზგერთზე, მაგრამ ჩვენ ჯერ ძალიან ახლო მოვუშვით იგი, მერე კი უცბად დავაყარეთ ტყვია-ზარბაზანი, დიდი ზარალი მივეცით. ისევ კოპასკენ დავახევინეთ და ჩვენ თვითონ იმათი ჯარის პირის-პირ დავბანაკდით დერიკეს მახლობლად.

9 მაისს ოსმალებმა ძლიერი რაზმი გამოგზავნეს სოფელ სარადავუდისა და დამიანის გზით ჩვენი მარცხენა წვერის შემოსავლელად, მაგრამ დროზე გაგზავნილი პატნოსიდან ჩვენი ცხენოსანი ჯარი თავს დაატყდა მას, დაარბია და მთელი დღე სდია, ხოლო დერიკეს წინ დაწყობილი ოსმალონიც აიშალნენ და იმათაც კოპასკენ დაიხიეს.

ბოლოს, 22 მაისს ბრძოლით ავიღეთ ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე სოფელი ადილჯევაზი და ხელთ ვიგდეთ მთელი მიწა-წყალი, მდებარე ალადაგის ქედისა და ვანის ტბის ჩრდილო ნაპირის შორის, და აგრეთვე ნაწილი მუშის სანჯაკისა. ზემო აღნიშნულ ბრძოლებში დავამარცხეთ ოსმალთა მე-33 მეორე რიგის დივიზია, რომელიც გაძლიერებულ იყო ქურთების ცხენოსანთა რაზმებით.

(შემდეგი იქნება)

ათინა. 27 მაისი. მიტილენიდან იუწყებიან; მოკავშირეთა ფლოტმა გუშინ საღამოს ზარბაზნები დაუშინა აზიის სანაპიროებს. მოკავშირეთა ორმა ჰაეროპლანმა დაჰზვერა მტრის ბანაკი. ნახევარ კუნძულზე საშინელი სისხლის ღვრაა. მოკავშირეებმა შესამჩნევად წინ წაიწიეს. უკანასკნელ კვირეში ბოლგარიით 170 გერმანელმა აფიცერმა გაიარა დარდანელისკენ.

კოპენჰაგენი. 26 მაისი. რუსეთის მთავრობამ წითელი ჯვრის საშუალებით სთხოვა გერმანიის მთავრობას გერმანელთა ბანაკში უფლება მიეცეთ ტყვე რუსების ნახვის. გერმანიის სამხედრო სამინისტრომ თანხმობა განუცხადა იმ პირობით, თუ გერმანელებსაც მისცემენ

სატრფიალო პორტრეტები

(მეგობრის ნაამბობი)

...ამასობაში მატარებელიც დაიძრა. ჩემდა საბედნიეროდ ეს კუბე თითქმის ცარიელა გამოდგა. ცხელოდა. სარკმელი გამოვაღე. გზა და გზა ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი სურათებით ვტკბებოდი. სამწუხარო მხოლოდ ის იყო. რომ სატელეგრაფო ბოძები წამ და უწუმ ხედვის ძაფს მიწყვეტდნენ და ისედაც აშლილ ნერვებს მიღიზიანებდნენ. ბოლოს ესეც მომეწყინა. გადავწყიტე მარტოობით მესარგებლნა და მცირეოდენი ხნით წამოვწოლილიყავ, ის—ის იყო ტუჟურკა უნდა გამეხადა, რომ მოულოდნელად ვიღაც გოგონამ ფრინველსავით შემოიფთხრიალა. შემოსვლისთანავე ვაგონს თვალიერება დაუწყო და თითქოს განგებ იმ სარკმელთან შეჩერდა. სადაც ორიოდ წუთით ვიდექი პეისაჟების საყურებლად. რამდენიმე წუთის განმავლობაში იყურა, იყურა და, არ ვიცი, მაშინდლურად თუ სრული შეგნებით, მობრუნდა თუ არა, იქვე სავარძელში ჩაეშვა. გუნებაში არ მესიამოვნა, რომ ჩემს ნებაზე არ შემეძლო მოვქცეულიყავი. ავდექ და უგემურად გაზეთის კითხვა მოვყე. წუთი და უეცრივ მან ისეთი ამოიოხრა, რომ უნებურად ყურადღება უნდა მიგექციათ.

— საწყალი, „სიკვარულით“ უდროუდროოდ დამწვარი იქნება,—გავიფიქრე ჩემთვის. რამდენიც დავაკვირდი, იმდენად უფრო ვრწმუნდებოდი ჩემს შეხედულობის სისწორეში: უსიცოცხლო თვალები, გამხდარი, თითქოს განგებ ძმარი ულევია, როგორც საზოგადოდ ეს ჩვეულებადა სჭირს ახალგაზრდა ქალებს, რომ მოდის მიხედვით ფერმკრთალი სახით გამოიყუებოდნენ, შემდეგ ხახვის ფურცელსავით გასიფრიფანებული ნესტოები, ფერმკრთალივე ტუჩები, შეყვითლეული ლოყები, ერთი სიტყვით, მთელი სახის მეტყველება თვალ წინ გიდგენდათ ანემიით დატანჯულ არსებას. მის ყურებაში გაზეთი გადამავიწყდა. გამოცდილი თვალი ადვილად შემნიშნავდა, რომ სამგლოვიარო და სარედაქციო განცხადებას უფრო დავყურებდი, ვიდრე ვიღაც კალმოსნის წყალ-წყალა მეთაურს, რასაც საკურიოზოდ უფრო წაიკითხავდით, ვიდრე ან ჭკვის სასწავლებლად, ან და დიპლომატიური თვალსაზრისით.

მაგრამ თქვენ უცხო ფრინველი უფრო გაინტერესებთ, ხომ? კეთილი. მეც განვაგრძობ ამბავის თხრობას.

ჩვენ შორის დუმილი პირველად კონდუქტორმა დაარღვია. აღმოჩნდა რომ ჩემი თანამგზავრიც თბილისში მოდიოდა. სამი საათი რა უნდა ვაკეთო? ველი. კონდუქტორი წავა თუ არა, გამოველაპარაკები. ძილს ისევ გართობა სჯობია. სხვა არა იყოს რა მოწყენილობის დროს ადამიანი თუთიყუშის ნალაპარაკებითაც კი ერთობა ხოლმე და თანამედროვე ქალი, ისიც თუ განათლება მოსცხებია, თუთიყუშზე ბევრად თუ არა ცოტად მაინც მეტია—მეთქი,—ვფიქრობდი ჩემთვის.

კონდუქტორმა ბილეთები გასჭრა და შემდეგ ვაგონში გავიდა. ქალისკენ რო გავიხედე, შევატყვე, იმასაც გამოსაუბრება ჰსურდა. გავმაგრდი, იმან დაიწყოს-მეთქი. ისიც გამაგრდა. წერილის კითხვა დაიწყო. მეც გაზეთი გადავკეცე. კითხვა გაათავა, გავათავე, წერილი კალთაზე დაიდო საკვიაჟის გვერდით, მე კი გაზეთი მარცხენა მუხლზე დავიფინე. უნდა რაღაცა მეთქვა, მაგრამ სიტყვის ნაცვლად უბრალო დახველება გამოვიდა. პირი არ მომეკუმნა, რომ ქალს, არ ვიცი განგებ თუ მართლა, წერილი გადაუცურდა. დასწვდა, მაგრამ დავასწარ. მივთავაზე. შიშველი ხელი გამოაწოდა. ღიმილით მადლობა გადმიხადა. სავარძლის პირად მივიწიე, პირისპირ დავჯექი, რომ უფრო დავახლოვებოდი.

— არაფრისთვის,—ვუპასუხე მადლობის გამოცხადებისათვის. მეც გავუღიმე.

— ვგონებ თბილისში მიბრძანდებით.

— დიახ.

— Значитъ, мы попутчики...

— როგორცა ჰხედავთ.

ასე დაიწყო ჩვენი გაცნობა.

— უკაცრავად, ისე მაგონდება თითქოს სადღაც უნდა მენახეთ.

— შეიძლება.

— ვგონებ თეატრში, არა?

— ეგეც შეიძლება. საზოგადოდ თეატრის სტუმარი გახლავართ. იქ კი ისეთი მცირე საზოგადოება დაიარება და ისეა განსაზღვრული, რომ ზეპირად იცი არა თუ ის თუ ვინ ვინ არის, ისიც კი, თუ ვინ სად ჯდება, რომელ რიგში, ან რომელ სკამზე.

— მართალია... მეც სულ ერთ სკამზე ვჯდები. პარტერის მეორე რიგში.

შემდეგი საუბრიდან აღმოჩნდა, რომ ჩვენი თეატრი მაინცა და მაინც არც ისე რიგად უყვარს. ან როგორ შეიყვარებდა როდესაც, გვერდით სახალხო თეატრია, ანუ საარტისტო! თუ ჩვენსაში დაიარება, მხოლოდ იმიტომ, რომ იქ თამაშობს ისეთი ლამაზი და ყველასათვის საყვარელი მსახიობი, როგორიც ლადო ზამბახიშვილიაო.

— წარმოიდგინეთ, თუ ის არა, იქნებ ქართულ თეატრის კარებიც არა მცოდნოდა. დასარწმუნებლად ისიცა კმარა, რომ რაც იუბილეი გადაუხადეს და სცენაზე აღარ გვინახავს, მეც ჩვენ თეატრში ფეხი ამოვიკვეთე... ერთხელ მაზე შეყვარებულიც კი ვიყავი.—მორცხვად დაათავა და თან ჩაიღიმა.

გამეცინა. იმასაც ღიმილი ხმა-მაღლა სიცილად გადაექცა.

— Какая я дура!

შემდეგ ნახტომი გააკეთა, ალბად საუბრის შესაცვლელად.

— თქვენ სტუდენტი ბრძანდებით? განცვიფრებით თვალები დავაჭყიტე.

— დიახ.

— პეტროგრადისა?

— არა, მოსკოვისა.

— შემდეგ ხელი ჩამოვართვი და ჩემი ვინაობა გაუმჟღავნე. იმანაც აგრეთვე. აღმოჩნდა, რომ თბილისის ქალთა უმაღლეს კურსებზეა მსმენელად.

— თქვენ რა აზრისა ხართ შაშვაბაძეზე?

ამ ახალი და მოულოდნელი კითხვით მეტად საბოდიშო მდგომარეობაში მაყენებდა.

— იცნობთ შაშვაბაძეს? წარმოიდგინეთ, რა უმადური საზოგადოება გვყავს! საცოდავი, ისედაც გამხდარი ადამიანი ლამის არის სიცოცხლეს გამოასალმონ. დიდი და პატარა ქვა და ლოდს ესვრის, სიცოცხლეს უწამლავენ. არავისა სურს დაიჯეროს, რომ მისი გამოკვლევანი სრული ქეშმარიტებაა, ყარამანიანი რუსთაველის გალექსილია და ვეფხის-ტყაოსანი კი რომელიღაც ალი-მირზას დაუწერია მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში. თქვენ რა აზრისა ხართ?

არ ვიცოდი რა მეპასუხნა. ავდექ და მეც არც მწვადი დავწვი, არც შამფური.

— მართალსა ბრძანებთ, მართლაც, ახალგაზდებში ეგ ყველასა სჯობია ორიგინალური აღმოჩენითა! ასე სწრაფად თავის დროზე თვით რუსთველსაც არ ექნებოდა სახელი მოხვეჭილი. შაშვაბაძეს ამ ორგინალობისათვის მთელი საქართველო იცნობს, უცხო ერებს ესე იგი, ჩვენს მტერ მოყვარეებს ხომ სულ ცაში აჰყავთ მეთქი.

— მაგრა, იცით რა, ეს ხომ ეგრეა, მაგრამ მსმენელ ქალებს ამ ბოლო დროს როგორღაც შეგჯავრდა. ნამდვილი ფსიხოზია. მაგისას ადამიანი ვერ გაიგებს. მეთოდი აკლია. ყველას ლანძღავს, ყველას „დურაკებს“ უწოდებს და უცოდველად მხოლოდ თავის თავი-ღა მიაჩნია. ხშირად „ნახალ“-ობამდისაც მიდის ხოლმე...

ასეთმა სწრაფმა ცვალებადობამ მეტის მეტად გამაკვირვა. მინდოდა პასუხი მიმეცა, მაგრამ აღარ დამაცალა.

— აი, სუ სხვაა ბატონი ინგორი! какой онъ славный, вы себѣ представить не можете! არ იცნობთ? არა? აი, ემოდენა ბიჭია, უულვაშო, სტუდენტი, მერე მორცხვი, რა მორცხვი! წარმოიდგინეთ, იმ დღეს გამაცნეს. ველაპარაკე, ის კი სულ ყურებამდინ წითლდებოდა... маленькій мизантропъ!

ბავშვური აღტაცებით მიამბო მისი გაცნობა, თუმცა უეცრივ მოიღურბლა:

— საოცარია, ლაპარაკი არ უყვარს... როგორ უნდა შეევთვისო?

მხრები ავიწიე. მცირე პაუზა. ჩემი თანამგზავრი ხელახლად ამეტყველდა. მისი საუბარი ამა თუ იმ ახალგაზდის პორტრეტის გარშემო ტრიალებდა. თავის ნაცნობთა გალერიაში მასეირნებდა და ხან ერთს პორტრეტს მიაჩერდებოდა, ხან მეორეს. საყურადღებო აღმოჩნდა მომღერალი ვანო, რომლის მოხსენებაზე სამჯერ „დუშკა“ წამოიძახა. გაიხსენა მისი იტალიური რომანსები, განსაკუთრებით ვნებით დამთვრალი კილო „ო, მარი... ო, მარი, ნეტავ...“ წარმოიდგინეთ, ახლა ამ ქალბატონასაც დაეწყო მისი ეშხით ხმის დამუშავება, ეყიდნა პიანინო, საკუთარი მასწავლებელი დაეჭირა, დიდი იმედი ჰქონდა, რომ ახლო მომავალში პირველი მომღერალი ქალი ვიქნებიო.

— თქვენ? თქვენ-კი არა მღერით?

ხელი ისე გაათამაშა, თითქოს კლავიშზე ანავარდებსო.

— აბა აიღეთ ეს ტონი do... რა ვქნ მუნჯი ხართ? სცადეთ, do, mi, sol... ა შეგიძლიათ? სმენა არა გაქვთ? სამწუხ. როა, მე-კი მინდოდა მარგარიტას ვედრება მეთქვა ფაუსტიდან. იცით, თბილისში ჩვენსა მობრძანდით: уменя обширный репертуаръ...

სხვა პორტრეტებიდან საინტერესო აღმოჩნდა ერთიც, რომელზეც არ შემიძლიან არ შევჩერდე.

— იცნობთ მჭევრიშვილს:

— ისე, შორიდან.

— მე-კი პირადად გავეცანი, ზელინს-

ავსტრიელნი კარპატებისკენ.

ავსტრიელების მძიმე არტილერია დიდი სიჩქარით გადააქვთ კარპატებიდან იტალიის ფრონტზე.

გერმანელთა ტელეფონები.

გერმანელებმა პოლონეთის მთელი დაჭერილი ადგილი დაჰქსელეს ტელეფონით. გაზაფხულზე განსაკუთრებით ავლებდნენ თხრილებს და შიგ გაჰყავდათ მავთულები. ამის შემდეგ მიწა მოხნეს, ასე რომ დღეს ყოვლად შეუძლებელი გახდა, სად რაა გაყვანილი, ან საით რა მიდის. გერმანელებს რადიოტელეგრაფები მთელს სოფლებში აქვთ ამართული და თვით სოფლელები გამოჰყავთ მათ სადარაჯოდ.

ზავის ქადაგება

ზავის ჩამოგდების შესახებ ნეიტრალურ ქვეყნებში ძალიან ზრუნავენ. აქ მეთოდიურად მუშაობენ, ამ იდეას ავრცელებენ და ცდილობენ განახოციელონ კიდევაც. ამ მიზნით ჰააგაში შესდგა კიდეც საზოგადოება, რომელსაც ეწოდება „ომის მოწინააღმდეგე ჰოლანდიელთა საბჭო“. ამ საზოგადოებისაგან ბლომად ეგზავნება სხვა და სხვა ქვეყნის პროფესორებს, მწერლებს და ხელოვანთ მანიფესტები და ბროშიურები. ამ მოწოდებებში გამოთქმულია აზრი, დრო არის შესწყდეს სისხლის ღვრა და შეიკრას ზავი, რომელიც არ ატარებდეს ახალი ომის თესლსაო. ამგვარი ზავის მისაღწევად, ხსენებული საზოგადოების აზრიო, მოხდება შემდეგ საფუძველზედ: უნდა შემოღებულ იქმნას სახელმწიფოთა ინტერ-ეროვნული ორგანიზაცია, კავშირთა თანამედროვე სისტემის მაგიერ კოოპერაციის სისტემა, დაწყებული კერძო ინდივიდთა ურთიერთობიდან, ვიდრე ერთა და სახელმწიფოთა ურთიერთობამდეო. დემოკრატიული კონტროლი ინტერ ეროვნული პოლიტიკისა. უფლებათა, თავისუფლებათა და გარანტიათა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იქმნეს ინტერ-ეროვნულადო“.

გაზეთი „ტანი“ ეჭვის თვალით უყურებს ასეთ პროპაგანდას არსებითად დაუინტერესებელ ქვეყნების მიერ და აფრთხილებს საფრანგეთის საზოგადოებას. სახელმწიფოთა ურთიერთობის გარდაქმნა გაზეთს შეუძლებლად მიაჩნია ასე უცებ და ამ შეუძლებელ იდეალზედ ვერ წარმოუდგენია მტკიცე ზავის აგება. ასეთი ზავიო,—ამბობს გაზეთი, ჩვეულებრივ „ალილუიას“ უდრის,—მხოლოდ პაშინ შეიკვრება ნამდვილი ზავი, როდესაც პრუსიის მილიტარიზმი საბოლოოდ შეიმუსრებაო.

პერემიშლის გარშემო.

პერემიშლის აღების ამბავს იუტობინებიან: იმ დიდმა ბრძოლამ, რომელიც ორი კვირის წინად მდ. ვისლისა და ბუკოვინის ფრონტზე სწარმოებდა, თავის სიმძაფრით ვისლასა და პერემიშლის შუა იჩხარა თავი. გერმანელების ძალა, როგორც ადგილობრივ ინფორმაციებიდან იტყობინება, ციხე-სიმაგრის ფორტებზე წამოსულა. დაიწყეს-რა შემოტევა ვისლის მარჯვენა მხარეს მდებარე ფორტზე № 7-ზე, სულ მცირე ხანში ჯარი შიგ სიმაგრეში შეიჭრა. მოწინაადმდეგემ შემდეგ თავისი ძალა ჩრდილოეთის ფორტებზე № 10 და 11-ს მიუსია. ეს ფორტები ოფიციალურ ცნობით სულ განადგურებული იყო პირველიდგანვე, ვიდრე ციხე-სიმაგრეს ავსტრო-გერმანელებს ჩაბარებდნენ. გერმანელები მძიმე არტილერიის ზარაბანებიდან ისროდნენ.

რუმინიაში.

ბუქარესტიდან მოსული ამბები მეტად პესიმისტური ხასიათისაა. სამთა კავშირის მოლაპარაკება გაართულა ორმა საკითხმა: ბანატის გაყოფამ და ბუკოვინის საზღვრებმა. როგორც ვაცით, ბანატის დასავლეთი ნაწილი დასახლებულია სერბიელებით, ჩრდილოეთით გერმანელები სცხოვრობენ, ხოლო აღმოსავლეთით—რუმინელები. რუმინიამ მთელს ბანატზე გამოაცხადა პრეტენზია, ასე რომ საზღვრებად რუმინიისა და სერბიის შუა მდ. ტისსა იქნებოდა. ამ მოთხოვნილებამ სამთა კავშირი ააღელვა. მოკავშირენი ეუბნებოდნენ, ჩვენ არ შეგვიძლიან სერბიის ინტერესები მხოლოდ თქვენ შემოგწიროთო. ამიტომ წინადადება მისცეს რანატმს იმ ნაწილით დაკმაყოფილებულიყვნენ, სადაც მხოლოდ რუმინული მოსახლეობა იყო. მოკავშირეთა წინადადებამ მთელი აყალმაყალი გამოიწვია რუმინელთა მხრით. რუმინიამ განაცხადა, თუ გსურთ ჩვენსა და სერბიელებს შუა მოყვრული მეზობლობა იყოს, აასრულეთ რასაცა გთხოვთო. მოგვეცით ხეირიანი საზღვარი. ხოლო ასეთ საზღარად მდ. ტისსა ითვლებაო. თუ რომ მივიღებთ რუმინელთა წინადადებას, მაშინ სერბიელთა რისხვას გამოვიწვევთ, რადგანაც სერბიელნი გასულან ბანატის სამხრეთით, ჩრდილოეთით და აღმოსავლეთითაც. მაგრამ რუმინელნი სხვაფრივა სჯიან: ტიმოკის ღელეში 200 ათასი რუმინელი სცხოვრობს, მაგრამ რუმინელთ ფიქრადაც არ მოსვლიათ ამ ტერიტორიის დაჭრაო. რუმინელთა ელემენტს კიდევ არასოდეს არ გამოუწვევია შუღლი სერბიელთა შორის მხოლოდ იმიტომ, რომ ტიმოკის ღელეს რუმინიიდან ჰყოფს ისეთი საზღვარი, როგორიც მდინარე დუნაიაო. რომ მთელი ბანაკი რუმინელთა ხელში გადმოვიდეს, რუმინელთა დიპლომატიამ კიდევ იმ ფაქტზე მიუთითა, რომ თუ სერბია დუნაის ორთავე ნაპირებზე იმფლობს,

ჟურნალ-გაზეთებიდან

სიძვირე რუსეთში.

რუსეთში თანდათან ყოველისფერი ძვირდება. განსაკუთრებით თავი იჩინა შაქრის სიძვირემ. დიდ ქალაქებში, სადაც დაწესებულია ნიხრი, შაქრის გაძვირება გამოწვეულია იმდენად არა ვაგონების უქონელობის გამო როგორც სპეკულიატორთა თავხედობით, რის წინააღმდეგ შესაფერი ზომებია მიღებული.

ვიბორგის მოწოდების საქმე.

19 მაისს, პეტროგრადის სამოსამართლო პალატამ მიისმინა მსჯავრი პირველ სათათბიროს დეპუტატებზე, რომელთაც ვიბორგის მოწოდებას ხელი მოაწერეს. ამ ჟამად ასამართლებდნენ ვირუბოვს. იგი მარტის თვეში დაბრუნებულა საფრანგეთიდან. მოსვლისთანავე მან განაცხადა, რომ მოველ რათა მოხალისედ ჩავეწერო ჩვენს ჯარებშიო. ამით მანვე უარჰყო ვიბორგის დადგენილება, რომ ჯარის-კაცი აღარ გავიყვანოთო. როგორც „უ. რ.“ გადმოგვცემს, მას 2 თვის ციხე მიუსაჯეს.

გერმანელების გალაშქრება.

პარიზიდან ატყობინებენ „რეჩს“: გერმანელებს გადამწყეტი იერიში მოაქვთ მოკავშირეთა ჯარების მთელ ფრონტზე. ეტყობა, ეს მათი უდიდესი ცდაა ინგლის-საფრანგეთის ჯარებზე გასამარჯვებლად.

ინგლისელ-ამერიკელთა ბრძოლა.

ინგლისელ-ამერიკელთა ბრძოლა ბოლო ხანებში ძალიან ცხარეა. ინგლისელებს ამ ბრძოლაში ბევრი ადამიანი ეხოცებოდა. ამ ბრძოლაში ინგლისელებს ბევრი ტყვეც ჩავარდა ამერიკელთა ხელში.

მაშინ ამ პუნქტში ახალი დარდანელი შეიქმნება და ეს რუმინელთა ვაჭრობას და დუნაიზე ჩვენს ნაოსნობას შეაფერხებსო. რუმინელთა წინადადება არ მიიღო სამთა კავშირმა. კავშირის აზრით რუმინიას ეყოფა თუ ბანატომაში ისეთს საზღვარს გაავლებენ, რომელიც ეტნოგრაფიულად დაკმაყოფილებდა თვითეულ ერსაო. სერბიელნი არ უნდა დაიჩაგრნენ, უნდა ისინი დავაკმაყოფილოთო. ამ შეუთანხმებლობის გამო მოლაპარაკება შესწყდა. ცხადია, ბონატის შესაშესახებაც შეთანხმება შეუძლებელია, თუმცა დიპლომატიური წრეები მაინც იმედოვნებენ, რომ საწადელს მივაღწევთო.

მეორე დაბრკოლება გამოიწვია ჩერნოვიცის ბედმა, რუმინელთა დიპლომატიამ მოისურვა მისი შეძენა. თავიანთ უფლების დასამტკიცებლად რუმინელებს მოჰყავდათ ის საბუთები, რომ ეს ქალაქი რუმინელთა კულტურის უდიდესი ცენტრია, ჩვენი უნივერსიტეტიც აქ არის გახსნილი, თვით მიტროპოლიტიც აქ იმყოფებაო. ამაზე სამთა კავშირი უპასუხებდა, ჩერნოვიცის დასავლეთი და სამხრეთი ნაწილი რუსებითაა დასახლებული, მაშასადამე, თუ ჩერნოვიცი რუმინიის ხელში გადავა, მაშინ ქალაქთან ერთად გადავა ბუკოვინის რუსებით დაშახლებული ნაწილი, რაიც სრულებით არ არის სასურველიო. რაც შეეხება მიტროპოლიტს, აქ ისტორიული შესწორება შეიტანეს, ეს სამიტროპოლიტო სულ ახალი დასახლებულია. მართლმადიდებელ მიტროპოლიტის რეზიდენცია საჩავში იყო, იწოდებოდა ბუკოვინისა და დალმატის მიტროპოლიტად და არა რუმინიისად. მისი მოვალეობა იყო მთელი სამწყსოსთვის მოევლო, სერბიელებისა, რუსებისა და რუმინიელებისათვის და არა მარტო რუმინიისათვისაო. მაგრამ ჩერსოვიცი დიპლომატიის თვალსაზრისით იმდენ თავსამტვრევ საკითხს არ წარმოადგენს. სწამს. რომ ადრე თუ მალე რუმინიას დაიყოლებენ და რომ დღევანდელი დაბრკოლებანი მხოლოდ დროებითიაო. (რ. ს.).

ოქვ. კ. ა. მუხრან-ბატონის მოსვენება თბილისში.

ბრძოლის ველზე გმირულად გარდაცვლილ თავ. კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის გვამი მოასვენეს თბილისში 27 მაისს, ღამის 11 საათ. 20 წუთ. საგანგებო მატარებლითვე მობძანდნენ მეუღლე განსვენებულისა მისი უმაღლესობა კნ. ტატიანა კონსტანტინეს ასული ბაგრატიონ-მუხრანბატონისა, ძმა უკანასკნელისა მისი უმაღლესობა იგორ კონსტანტინეს ძე, და ძმა განსვენებულისა მიხეილ ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი.

კუბოს მიეგებნენ რკინის გზის სადგურზე თბილისის დიდებულნი და წარჩინებულნი: კავკასიის მთავარ-სარდლის თანაშემწე გენ.-ლეიტ. ვოლსკი, თბ. კომენდანტი გენ.-ლ. ჩირკოვი, გუბერ. სტრახოვსკი, თბილისის გუბერნიის მარშლის თანამდებობის აღმასრულებელი თავადი მ. ა. სუმბათაშვილი, მაზრების მარშლები და დეპუტატები, თბილისის ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი და ქალაქის გამგეობის წევრი გ. დ. ჟურული, ბათომის ქალაქის მოურავი თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და აუარებელი ხალხი. სასულიერო წოდებიდან ბრძანდებოდნენ: საქართველოს ექზარხოსი მაღალ-ყოვლადსამღვდელო პიტირიმი, ეპისკოპოზი ანტონი და ლეონტი, არქიმანდრიტნი: პიროსი, ნაზარი და თითქმის მთელი სამღვდეოება თბილისისა.

მატარებლის მოსვლისთანავე. მიცვალებულის ვაგონში შებრძანდა საქართველოს ექზარხოსი მაღალ-ყოვლად სამღვდელო პიტირიმი ეპისკოპოზების ანტონის და ლეონტისა, კანდელაკის სიონის ტაძრისა ან. თოთიბაძისა, პროტოდიაკონისა და ორის იპოდიაკონისა და მეკვერთხის თანხლებით და უკანასკნელთა თანამსახურებით. პანაშვიდი გადაიხადა სლავიანურსა და ქართულს ენაზე. ვაგონის გარედ მწყობრად იდგა მგალობელთა სამი გუნდი—ექზარხოსისა, ფიდარმონიულ საზოგადოებისა და კ. ჩარკვიანისა—და რიგ-რიგობით ჰგალობდნენ სლავიანურად და ქართულად.

ღამით მიცვალებული ვაგონში დასტოვეს. თავიანთვე ვაგონებში დარჩნენ ღამის გასათევად მათი უმაღლესობანი კნ. ტატიანა კონსტანტინეს ასული ბაგრატიონ-მუხრან-ბატონისა და იგორ კონსტანტინეს ძე.

გუშინ, 23 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზე, სამღვდელოება, წარჩინებულნი და ხალხი ისევ შეგროვდნენ რკინის გზის სადგურზე. მცირე პანაშვიდის გადახდის შემდეგ კუბო გამოტანილ იქმნა ვაგონიდან სიონის ტაძარში წასახვენებლად. პროცესიას წინ მიუძღოდა მესტიხრე დიდი ფარნით, იმას რიგ რიგად შიჰყვებოდნენ დიდი ჯვრითა და ხატით, სამი წყვილი საეკლესიო ბაირაღებით, ამქრები თავიანთის დროშებით, მგალობელთა გუნდნი. გზაში რამდენიმე ადგილას მცირე პანაშვიდი იქმნა გადახდილი. სიონში ექზარხოსმა ეპისკოპოს ლეონტისა და ანტონის თანამსახურებით პანაშვიდი გადაიხადა ქართულსა და სლავიანურს ენაზე. გალობა იყო ორთავე ენაზე.

—

გუშინ წინ 27 მაისს თბილისში მოასვენეს ბრძოლის ველზე გმირულად განგმირული თ-დი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე მუხრან-ბატონი.

ბაგრატიონთა წინაპარნი განუწყვეტლად მეფობდნენ ნესამე საუკუნიდან ქრისტეს დაბადების წინ. ერთი შტო ბაგრატიონთა გვარისა კლარჯეთის მხარეს განაგებდა, ამ ადამად ჭოროხად წოდებულს. მეცხრე საუკუნის დამლევს ამ კუთხის მფლობელმა დავით ბაგრატიონმა საქართველოს მეფის სახელწოდება მიიღო. მისი სატახტო ქალაქად არდანუჯი იყო. მეათე საუკუნეში ბაგრატიონთა გვარი თავის სამფლობელო საზღვრებს აფართოვებს, მათ ხელში გადადის დასავლეთი საქართველო. მყთორმეტე საუკუნეში ჩვენს აოხრებულ ქვეყანას ევლინება დავით აღმაშენებელი, რომელმაც შეაერთა მთელი მოდგმა ქართველთა ერისა და დაიმკვიდრა ტახტი თბილისში სრულიად საქართველოს მეფისა. აყვავების ხანას მოჰყვევს ხანა განაწილებისა. ბაგრატიონთა გვარი ივოფა ოთხ შტოდ. თითო მათგანი გამეფდა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეს.

საერთაშორისო ომში მოკლული თ-დი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე მუხთან ბატონი ეკუთვნის ქართლში გამეფებულ მეფე კონსტანტინე II-ის უფროსი შვილის შთამომავლობას.

თ-დი კოსტანტინე ალექსანდრეს ძე მუხრან-ბატონი დაიბადა 1889 წ. მამა მისი ალექსანდრე მიხეილის ძე თავადი მუხრან-ბატონი, სამხედრო პირი იყო და ოსმალეთის ომში მონაწილეობას იღებდა, რისთვისაც გიორგის ჯვრით დაჯილდოვებულ იქმნა. აწ მოკლულმა თ-მა კონსტანტინე მუხრან-ბატონმა მათი იმპერატორებითი უდიდესულესობის კორპუსის პაჟთა სკოლაში მიიღო განათლება. 1911 წელს იგი ჯერ მთავარს კონსტანტინე კონსტანტინეს შეს დაესიძა. დარჩა ორი შვილი: თეიმურაზი სამის წლისა და ქალიშვილი ერთისა. ომში იგი კავალერგარდია პოლკის ოფიცრად იყო და მხოლოდ ორი დღის წინად მოკვლამდე თავისივე სურვილისამებრ გადაყვანილ იქმნა ერთ-ერთ სახელგანთქმულ კავკასიის პოლკში. მოჰკლეს 19 მაისს საღამოს 10 საათზე, როდესაც იგი თავის რაზმით თავს დაესხა მოწინააღმდეგეს. სულის განტევის ჟამს მის ახლო, ბრძოლის ველზე, წითელჯვრის თადარიგის მიმცემი მისი უფროსი ძმა იმყოფებოდა და ბრძოლის ველიდან მან გამოიტანა. მისმავე ძმამ მოაცილა განსვენებულის ნეშთი თბილისში.

მრავალ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. მამაცობისათვის უმაღლესად ებოძა ოქროს იარაღი. პეტროგრადში მრავალჯერ პანაშვიდები გადაიხადეს. დაესწრენ ხელმწიფის ოჯახის წევრნი, კარის კაცნი, მინისტრები და ბრწყინვალე წოდება.

უმორჩილესად ვთხოვთ „საქართველოს“ იმ ხელის მომწერს, ვისაც ნომერი არ მიუვა, დაუყოვნებლივ შეგვატყობინოს პირადათ ანუ წერილით.

ახალი ამბავი

✦ **მოკლულნი და დაჭრილნი.** უკანასკნელ ოფიციალურ სიაში ნაჩვენებია შემდეგი ქართველი აფიცრები: მოკლულ არიან თავ. კონ. მუხრან-ბატონი და ჭუჭულაშვილი. დაიჭრნენ: ჭეიშვილი ივანე და კლდიეშვილი გიორგი.

✦ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ფელდშერს ბ-ნ კაჭახიძეს ბათომის კომენდანტისგან ნებართვა მიეცა წავიდეს ბათომში საქველმოქმედო საზოგადოების მონდობილობით, რომელიც თან ატანს მას საექიმო იარაღს და წამალს.

✦ **ფოთის ქალაქის** მოურავის მოადგილემ ბ-ნმა ტყემალაძემ 27 მაისს დაათვალიერა შრომის ბირჟა. ბ-ნ ტყემალაძეს აზრად აქვს ფოთში გახსნას ასეთი ბირჟა და ცნობებს აგროვებს.

✦ **ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგად.** გამგეობამ გადასწყვიტა თავისი წიგნის მაღაზია და კანცელარია გადაიტანოს თავად-აზნაურობის ქარვასლიდან სხვა ადგილას. გამგეობა ამ ჟამად დაეძებს შესაფერ შენობას, რომელშიაც შეიძლებოდეს მოთავსება კქნცედარიის, იაღაზიის და წიგნების საკაზმავისა.

✦ **გოგირდი.** კავკასიის სამხედრო მიმოსვლათა უფროსმა დააკმაყოფილა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ საზოგადოებას მისცენ 9 ვაგონი რკინის გზის სადგურ რენში (რუმინიის საზღვარი) ვენახების საწამლოდ ნაყიდი გოგირდის წამოსაღებად.

✦ **შაბიამანი.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ შეიძინა როსტოვში 700 ფუთი შაბიამანი, საზოგადოება მევენახეებს მიჰყიდის ფუთს 23 მინეთად, როგორც თითონ უზის თბილისში მოტანილი.

✦ **სავალდებულო დადგენილებათა შესრულების შესახებ.** ვაჭართა მამასახლისმა განცხადება წარუდგინა ქალაქის გამგეობას, სადაც აღნიშნულია ის გარემობა, რომ პოლიციის მოსამსახურენი მცირე უქმე-დღეებშიაც ძალას ატანენ სანოვაგის მოვაჭრეთ მაღაზიები დაჰკეტონ, თუმცა ამ დღეებში სავალდებულო არ არის ვაჭრობის შეწყვეტაო. მაგალითად, სულიწმინდის მოფენის მეორე დღეს ჯერ მოსთხოვეს მოვაჭრეებს მაღაზიების დაკეტვა და, როცა ნოქრები წავიდ-წამოვიდნენ, ისევ გაღება მოსთხოვესო. ამის გამო მამასახლისი სთხოვს გამგეობას იხმაროს ღონის ძიება სავალდებულო დადგენილებანი არ ირღვევოდესო.

✦ **შაქარი.** ქალაქის გამგეობას დეპეშა მოუვიდა, რომ ოდესიდან უკვე გამოვიდა 35 ვაგონი შაქარიო, რომელიც გამგეობას ჰქონდა ნაყიდი. ბაქოში ნაყიდი 3 ვაგონი შაქარი გამგეობას შეუნახავს თავისს დაწესებულებებისათვის.

✦ **მეფურნეების მამასახლისმა** თხოვნა შეიტანა ქალაქის გამგეობაში 1 გირ. პურზე ნახ. კაპ. მომატების შესახებ. მამასახლისი იმით ასაბუთებს თავის თხოვნას, რომ ოდესასა და ხარკოვში, სადაც ქალაქ. თვითმართველობას პროფესორები და წარჩინებულნი განაგებენ და სადაც შედარებით პური ბევრად იაფია, გირვანქა პური ნახ. კაპიკით მეტადაც იყიდება, ვინემ თბილისშიო. ქალაქის გამგეობამ ეს თხოვნა პოლიციმეისტერს გადასცა განსახილველად.

✦ **წყალდიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ** ქალაქმა აირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს, თუ რა ზარალი მიაყენა მცხოვრებთ ნიაღვრებმა და სეტყვამ, რათა საშუალება გამონახოს დაზარალებულთა დასახმარებლად. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია გამგეობის წევრი ბ-ნი ათაბეგოვი.

✦ **დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა.** ქალაქის გამგეობის წევრმა გ. დ. ჟურულმა შეადგინა მიმდინარე წლის დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა 135,880 მანეთისა, ამ თანხიდან 100 ათასი მანეთი უნდა დაიხარჯოს სანოვაგის სასყიდლათ, 16 ათასი მან. ნიაღვრების მიერ გაფუჭებულ ქუჩების გასასუფთავებლად და 4,000 მან. ნიაღვრებისგან დაზარალებულთა დასახმარებლად.

ადგილობრივი ცხოვრება

✦ **ქართველ მეპურეების განსაცდელი.** თბილისის ქალაქის გამგეობა სასტიკად სდევნის ქართველ მეპურეებს. ამ უკანასკნელ დროს, როდესაც ფქვილის მოტანა თბილისში ნამეტნავად ძნელი გახდა, ქართველ მეპურეებს, როგორც სხვებსაც, ხან 1 ხარისხის პური აკლდათ, ხან მეორე. ამით ისარგებლეს თბილისის ქალაქის დღევანდელ მესვეურებმა და ქართველ მეპურეებს სრულიად მოსპობას უპირებენ. ქალაქის გამგეობის აგენტმა შავერდოვმა ორას ქართველ მეპურეს (მათში ერთი სომეხია) შეუდგინა ოქმები და ყველას ათ-ათ, თუმანს ახდევინებს. ზოგმა კიდეც თორნე მიკეტა, ზოგი აქეთ იქით ნასესხ ფულით ისტუმრებს ამ ჯარიმას, ზოგიც კი ციხეში მოხვდა. რამდენიმე მეპურეს შავერდოვმა უთხრა: „თქვენი საქმე გათავდაო.. არ შეგიძლიანთ ჩვენი ბრძანების აღსრულება, უნდა დაკეტოთ თქვენი უვარგისი თორნეები და წახვიდეთო“.

✦ **უბედური შემთხვევა.** 27 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზე, სიონის ტაძრის ეზოში ასტყდა—„ჩხუბი, ჩხუბიო“. გამოირკვა შემდეგი: თავად-აზნაურობის კომისიას სიონში გაეგზავნა ავტომობილით მცენარეულობა და ყვავილები კ. ა. მუხრან-ბატონის კუბოს შესამკობლად. სიონში შესასვლელ კარებთან ქუჩაზე მისულიყო სიონის პროტოდიაკონის დავით სალარიძის 13 წლის ვაჟი და ავტომობილზე შემჯდარიყო. ბავშვს გასჯავრებია შოფერი. ბავშვი გაქცეულა, სამრეკლოს გვერდით ქუჩაზე წაქცეულა და იქვე სული დაულევია.

✦ „საქართველოს“ რედაქციამ მიიღო მცირეწლოვანთათვის შედგენილი ჟურნალი „ნაკადული“ № 9. ჟურნალი ჩვეულებრივად შინაარსიანად არის შედგენილი.

საფრანგეთის ცხოვრებიდან

თეატრების გაღება.

საფრანგეთში შესწყდა მოქალაქობრივი ცხოვრება. დღიდან ომის გამოცხადებისა დაიხშო კარები სხვა და სხვა სამხიარულო და გასართობ დაწესებულებისა, მათ შორის, თეატრებისაც. გასაკვირი არაა. მთელი საფრანგეთი თოფიარაღში ზის. იქ ყველა მოვალეა ჯარისკაცობა გასწიოს. კოჭლი და რახიტიკი რა არის, ისინიც კი გაჰყავთ. მათ საკანცელარიო მუშაობას ასრულებინებენ. მამაკაცთაგან დაცლილია ქალაქიც და სოფელიც. ოჯახი არაა, რომ უბედურება თავს არ დასტეხოდეს და გლოვის ძაძები არ ემოსოს, ან და კიდევ დღე-დღეზედ არ მოელოდეს შემზარავ ამბავს ქმრის, შვილის, თუ ძმის დაკარგვისას. ყველა ეს ქმნის მწუხარების ატმოსფერას. ბუნებით მხიარული ფრანგი, დღეს უძირო კაეშანს გარემოუცავს... გაზეთმა ამბავი მოიტანა „ფრანგულმა კომედიამ“ კარები პირველად გააღოო. ეს საუკეთესო თეატრია არამც თუ მარტო საფრანგეთში, არამედ, შეიძლება ითქვას, მთელს ევროპა-ამერიკაში. იგი წმინდა სასუფეველია ფრანგი კლასიკი დრამატურგებისა. იგი ფრანგული დიქციისა და ენის საფაქიზო ტაძარია. აქ წარმოუდგენიათ დროის შესაფერი პიესა. „Colette Baudoche“. თვით გმირი—ლორენელი ქალია, იმ ლორენიდან, რომელიც საფრანგეთ-გერმანიის მტრობისა და განხეთქილების თავი და თავი მიზეზია ამ უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში.

მიუხედავათ პიესის საამდროვო ხასიათისა, თეატრის ამუშავებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. პრესა და საზოგადოება ორ ნაწილად გაიყო. თეატრის გახსნის მოწინააღმდეგეთ მოყავთ ამგვარი მოსაზრებანი: „რა დროის გართობა და მხიარულებაა. ირგვლივ გლოვა და განსაცდელი გვარტყია. უმაგალითო, ცოცხალი დრამა ცხვირის წინ სწარმოებს და რა დრამატიული პიესები გვჭირია. მთელი ერი საბრძოლველად გასულა. სალაღობო არა გვაქვს რა. ფრანგის ოჯახი არ მოიძებნება, გლოვის თალხებში არ იყოს გახვეული. თუნდაც რომ მოიძებნებოდეს ისეთი ფრანგი, რომელსაც ომისგან გაუსწორებელი სიმწარე არ ეწვნიოს, ნუ თუ მან თავისი ეგოისტური გრძნობის უდარდელობა არ უნდა შეინახოს მთელი ერის ვიშის და მწუხარების დროს? საფრანგეთის ბედი განკითან ერთად, უკედ, ისინი თითონ გამეცნენ. ნეტავი სად? ჰო, კლუბში... რა კარგი დრო გავატარეთ! მეორედ თეატრში ვნახე. პარტერში ვიჯექი. მოვიდა. გამეცნო და მითხრა: კლასიკურ სილამაზის განხორციელება ბრძანებებითო. არ მინდოდა დამეჯერებინა, არც თუ ეხლა მსურს დავიჯერო, მართლა ასეა? იმ დღეს მეხვეწებოდა, პროფილში გადაიღეთ სურათი კლასიკურ სილასაზის ნიმუშად გამოდგებაო.

შემდეგ დაჟინებით:

— მართლა ასეთი ვარ?

უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი. „ჰო“-ო მეთქი. უფრო გათამამდა. ვენერას სილამაზის ნატეხად წარმოიდგინა თავი.

— Развѣ? არა მჯერა!

შემდეგ ერთის ამბით მიამბო, თუ ენა მეტყველ ლექტორს რა აფორიზმები გაეშალნა მის წინ, რომელთა შორის ჩემს მეხსიერებას ორიოდეღა შერჩა: „მელანქოლიის შავი ფრთა არღვევს იდუმალების ზეწარს და შორიდან მიკრთოლებს თქვენს ნარნარ სახეს“, ანუ „თქვენი გული ცივი მარმარილოს დაფაა, რომელზედაც მოქანდაკის მკვეთრი საკვეთელით მსურს დავწერო ნირვანას ჰაეროვანი სახით ახალ ტრფიალების ახალი სახელი“,—ან და ეს „მზე იმად არის მზე, რომ სხივები აბნიოს, ათბობდეს, სწვავდეს ყოველისფერს, არსი-კი მის სამზერლად არის გაჩენილი. მზეს არა აქვს უფლება თუნდა ერთს მათგანს უბრძანოს, შესდექი, ნუ მიმზერ, ნუ მეტრფიო, ვინაიდან მზის დანიშნულება მხოლოდ სხივთა ფრქვევაა და დაწვა“... ყველა ეს აფორიზმები და ათასი სხვა მშვენიერ წიგნაკში ჩაეწერა, სცდილობდა, გამოთქმაც მიემგზავსებინა თვის სათაყვანო კერპისათვის. სხვათა შორის აღნიშნა, რომ თორმეტ ვარდის სახლის ესკიზში თურმე ამ ქალბატონის სახლიც ერია. ეს-კი ერთი ასად აბედნიერებდა მას.

მაგრამ, წარმოიდგინეთ, მალე ეს პორტრეტიც მოიმწვანილა.

— იცნობთ კოცნიაშვილს?

— ხელის ჩამორთმევით არა, მაგრამ ვიცი, რომ ჩვენი მგოსანია.

ვიმსჯელეთ მის პოეზიაზე. ქალბატონი აღტაცებაში მოდიოდა. მისი ლექსები ზეპირად დაესწავლა. მიამბო ისიც, თუ როგორ გაეცნო, ან რამდენი წერილი მიეღო ლექსად. ერთ ხანად მოიწვინა. ნაღველი გადაიკრა შუბლზე.

— პაპიროსს არ ეწევით?

მითხრა სევდიანათ.

— არა.

— ფუ, რა სისაძაგლეა! იტყვის სტუდენტი ვარო. არც სპიჭკა გაქვთ!

— არა, მაგრამ შემიძლიან გიშოვოთ.

— მაშ აბა ჩქარა!

პირველ კლასის ვაგონში მოველი, ვიშოვნე ასანთი და საჩქაროდ გამოვტრიალდი. ქალბატონი ცრემლებს აფრქვევდა.

— გაჰკარით!—სასტიკად მიბრძანა მან. დავემორჩილე. საკვოიაჟეში რაღაცას ძებნა დაუწყო. მალე პატარა წერილა ამოაცოცა. მთრთოლვარე თითებით ასწია და ანთებულ ღერს მოუშვირა, მაგრამ ისე ფრთხილად, თითქოს ენანება, ცეცხლი არ მოედოს და არ დამეწვასო. ღერი ჩაიფერფლა. წერილი გადარჩა.

— გაჰკარით მეორე!

ბრძანება ავასრულე. ახალგაზრდა ქალბატონს არ მოეწონა ჩემი სიჩუმე.

— რატომ არ მკითხავთ თუ რა წერილია ეს.

— ვგონებ არც ეთიკა და არც...

— აჰ, ახლა ეთიკაზე მომიყვებიან.—ცივად შემნიშნა ქალბატონმა,—ხომ მხედავთ, ვიტანჯები. აი, დაიწვა და ჩაჰქრა ჩემი ბედნიერებაც...

მეორე დღესაც ჩაიფერფლა. წერილს კი მხოლოდ ერთი კუთხე მოეწვა, საჭიროდ დავინახე მესამედ გამეკრა, მაგრამ ნება აღარ დამრთო და წერილი თვითვე დაფხრიწა.

— წარმოიდგინეთ, მიღალატა, გამცვალა... წინად მე მესიყვარულებოდა, ეხლა კი... გაჰქრა, აქ აღარ არის, უეჭველია, ვინმე მოიტაცებდა... მე კი აქ ობლად დავრჩი და ვიტანჯები, ვეჭკნები, ვეჭლექდები.. ანდა რაღა მაქვს სასიცოცხლო? ვისღა ვუყურო? კვლავ მეჭევრიშვილს? მაგრამ ის ხომ ავადმყოფი ადამიანია, მანიით შეპყრობილი, ამ პატარა ბიჭის ფრჩხილადაც არ მიღირს იგი! მეჭევრიშვილი! скажите пожалуйста, რა გამიხდა ეგ თქვენი მეჭევრიშვილი! დროა მოდიდან გამოვიდეს: ეგ ხომ უბრალო დეკლამატორია. დიდმა ქება-დიდებამ მართლა აპოლონად წარმომადგენინა თავი. იმ დღეს სურდო შეეხვედროდა: აპოლო ღმერთთა თანასწორი იყო და ავადმყოფობაზე მაღლა იდგა, მე კი სურდო მეპირსო! აბა ჩემი კოცნიაშვილი ხომ ამისთანებს არ იტყვის, მან მხოლოდ კოცნა იცის, კოცნა, აი ასე და... სხვა არაფერი..

თითებზე იკოცა, თვალზე ცრემლები მოსცვიოდა. წარმოიდგინეთ, მეც კი, ეს ქვის გულის ადამიანი, სიბრალულით ავივსე.

ის ის იყო, ხელცახოცის ამოღებას ვაპირებდი ცრემლების მოსაწმენდად, რომ მატარებელიც შეჩერდა. გადმოვხტით. ეტლით ბინამდე მივაცილე. შინ მეპატიჟებოდა, მაგრამ ვუთხარი, ჩვენების ნახვა მეჩქარება და ხვალ შემოვივლი მეთქი.

როცა მის ქუჩას მოვეფარე, უეცრივ საშინელმა აზრმა გამიელვა, მეც ხომ თავის ტრფიალების გალერეაში არ ამოვაქცია მეთქი და გადავწყვიტე, აღარას დროს არ გამოვმცნაურებოდი მას.

ოჰ, მეტად ძნელია ჩვენს დროში თუთიყუშებთან რაიმეს თქმა!

დ. კასრაძე.

საცდელშია, ჩვენი ფიქრ-გონება ბრძოლის ველისკენ უნდა იყოს მიპყრობილი ჩვენი ცოცხალ-დახოცილებისკენ, და არა თეატრ-გასართობებისკენო. არც ლონდონის მაგალითია აქ მოსატანი. საფრანგეთსა და ინგლისს შორის განსხვავებაა და ეს განსხვავება კარგად უნდა გვესმოდეს. ინგლისი არ წარმოადგენს შეიარაღებულ ერს, საფრანგეთი კი კაცი-კაცამდე იარაღში ზის. კიდევ ერთი: ინგლისში, მტერი როდი დგას დედა ქალაქის ცხვირის წინ. რაღაც სამოც კილომეტრის სიშორეზედ, როგორც ეს საფრანგეთში არისო".

თეატრების გაღების მომხრენი ამბობენ: საომრად გასულთა გარდა სოფელ-ქალაქად დარჩა მშვიდობიანი მცხოვრები. ყველა თავის როლს უნდა ასრულებდეს. მრავალი მოსამსახურე იხოცება გასართობ დაწესებულებათა დაკეტვის გამო. ყველამ ხომ თავის გარჯით უნდა იცხოვროს.

საზოგადოებასა და პრესაში გაისმის, პატრიოტული მოვალეობა მოითხოვს მიძწყდარი საქმეები აღვადგინოთო. ნუ დაგვავიწყდება, რომ თეატრი საფრანგეთში, განსაკუთრებით პარიზში, ნამდვილი საქმეაო".

ძნელია ამ ორ შეხედულობის შეთანხმება. პრაკტიკულად თითქმის კიდეც გადაწყდა საკითხი. თეატრის კარები გაღებულს, რაც გასაგებია. ხოლო საზოგადოება არ ეტანება, ეკრძალვის ამ გართობას, რაიც კიდევ უფრო გასაგები და უფრო კანონიერიც.

ს—ია.

ბ-ნ თ. კიკვაძის „საგრამატიკო შთაგეჯდილებათა" გამო.

„თანამედროვე აზრი" № 61

ფრიად საინტერესო და ნაყოფიერი იყო ამ პირველ ნახევარწლის მუშაობა ქართულ კულტურის მოყვარულ საზოგადოებისა და ამიტომ საზოგადოებაც მრავლად ესწრობოდა მის კრებებს. სჩანს, რომ ხალხი ერთგვარის ხალისითა და თანაგრძნობით ეკიდებოდა იმ ფრიად დიდნიშვნელოვან საკითხებს, რომელნიც ამ საზოგადოებაში იყო წამოყენებული და გარჩეული. ყველასთვის ცხადია მნიშვნელობა ამ საზოგადოებისა, მაგრამ, ზოგის აზრით, ასე როდი ყოფილა. ისეთი საჭირბოროტო საკითხის შესახებ, როგორიც არის ქართული მართლ-წერა, საკითხი მართლაც კულტურულ მნიშვნელობისა, აი რასა სწერს თავის წერილის შესავალში, „აზრში", ბ-ნი თ. კიკვაძე: „იმ დროს, როცა ქართველი ახალგაზდობა სისხლითა რწყავს იმპერიის შორეულსა თუ მახლობელ საზღვრებს, ჩვენ დიდის სიდინჯით და ენერგიით საგრამატიკო ბრძოლას ვაჩაღებთ შინ"... „დარჩენილი ინტელიგენცია ეშურება სამართლწერო სახელმძღვანელოები დაახვედროს იმ დასახიჩრებულ მეომრებს, რომლებიც ბლომად დაბრუნდებიან სახლში"...

გაუგებარია ბ-ნ თ. კიკვაძის ირონია. განა რაკი იმპერიის საზღვრებზედ ომია გაჩაღებული და ჩვენი მოძმენი ბრძოლის ველზედ იხოცებიან, ჩვენ, შინ დარჩენილებმა პურის ჭამაზედაც უნდა ხელი ავიღოთ? ამას, რასაკვირველია, არავინ მოგვთხოვს. მხოლოდ, რადგან ადამიანისათვის სულიერი საზრდო კუჭისაზედ არა ნაკლებ ნიშვნელოვან საჭიროებას წარმოადგენს, ამიტომ არც მასზედ ზრუნვა უნდა იყოს სასაყვედურო და სამარცხვინო ჩვენი საზოგადოებისათვის. ენის წესები ჩვენში შესწავლილი და დაკანონებული ჯერაც რომ არ არის, ეს ყველამ იცის. ამ წესებს რომ შესწავლა და განმტკიცება ესაჭიროება, ამას ყველა გრძნობს. და განა ეხლა, როდესაც ასე მწვავდება ეროვნული ქართული სკოლების საკითხი, დღეს-ხვალ მოელის გადართოვება ქართული ენის პროგრამას, უდროვოა ენის წესების შესახებ მსჯელობა?! ჩვენ ხომ უნდა გვქონდეს მშობლიური ენით დაწერილი საბავშვო და სახალხო საკითხავი წიგნი, სკოლისათვის საჭირო სახელმძღვანელო სამეცნიერო ლიტერატურა. შეუძლებელია ყველამ ისევე თავისებურადა სწეროს, როგორც ეს ეღევანდელს ჟურნალ-გაზეთში ჰხდება. ეჭველად და აუცილებლად საჭიროა წესების დაკანონება. ეს კი ყოვლად შეუძლებელია თუ მცოდნე და დაინტერესებული ხალხი არ შეიყარა, თავიანთი აზრები ერთმანეთს არ გაუზიარეს და ენის წესების დაკანონებისათვის არ „იბრძოლეს". სამწუხაროა როცა ერთი მუჭა კულტურულსან ერს უხეში ძალა დაატყდება და დასჩაგრავს. აგრეთვე სამწუხაროა როცა ათიოდე მცოდნეს საქმიანობის დროს მრავალი არა-მცოდნე აუტყდება, ხელს შეუშლის და საქმესაც ავნებს. ქართველებს, მართალია, ბევრი არა გვყავს ნამდვილი ქართული ენის ღრმა მცოდნე, მაგრამ ცოტა მაინცა გვყავს. რაც უნდა იყოს, ბ-ნი პეტრე მირიანაშვილი, რომელსაც ბ-ნი თ. კიკვაძე სხვათა შორის ეხება თავის წერილში, მათ შორის უეჭველად უკანასკნელი არ იქნება—და მას ბ-ნ თ. კიკვაძისაგან არაფერი ესწავლება.

საჭიროა ჩვენმა საზოგადოებამ ეხლავე მეტი ყურადღება მიაპყროს და რაც შეიძლება ჩქარა შეიმუშაოს ჩვენი ენის წესები, თორემ საქმე თანდათან გაძნელდება შემდეგში. ცხოვრება საკუთარისა და დიდის სისწრაფით მიექანება, აღებ-მიცემობა ვითარდება, მისვლა-მოსვლა ერთა შორის ხშირდება, ვრცელდება ერთი ეროვნების გავლენა მეორეზედ და ამიტომ პატარა ერის ენას უფრო განსაცდელი მოელის, ვიდრე კეთილდღეობა, კულტურით ჩვენზე ძლიერი მოდის ჩვენთან თავისი დამუშავებული ენით. ამას ადგილობრივი დაუმუშავებელი ენა სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევს და ილახება. ზოგი ამბობს: ეს გავლენა ენას კი არა ლახავს, ამდიდრებს, ანვითარებსო. მაგრამ ეს შემცდარი აზრია. მართალია, ახალ ცნებათა ახალი სიტყვები ერის სიტყვების სალაროს ამდიდრებს, მაგრამ ეს ენის განვითარებას როდი ნიშნავს. უცხო სიტყვას კაცის გონება ძნელად იხსომებს, და ეს კი სწავლას ძალიან აძნელებს. ყოველივე სიტყვა ადამიანის გონებაში სურათს, მოქმედებას უნდა ჰხატავდეს, აზრს უნდა იწვევდეს. ამისათვის კი საჭიროა ყოველივე სიტყვის განცდა, განგრძნობა. როცა კაცი უცხო, უცნობ სიტყვასა ჰხმარობს, ეს განცდა-განგრძნობა ძნელდება. ენას შემოტანილი უცხო სიტყვების სიმრავლე არ ანვითარებს. ენას განვითარებულს უწოდებენ, თუ ისეთნაირად არის იგი მოქნილი, რომ ერთი რომელიმე ძირითადი აზრი და ყოველივე მასზედ აღმოცენებული ახალი ცნება ერთისა და იმავე სიტყვის ძირისაგან ნაწარმოები სიტყვებით გამოიხატება, აი ამასა ჰქვიან ენის განვითარება-გაფაქიზება. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ენის წესების დამუშავებით. აღებ-მიცემობა თავისთავად ენას თუ წაჰრყვნის უცხო სიტყვების დაბოლოვებათა უკანონო შემოღებით, თორემ არც გააფაქიზებს და არც განავითარებს მას. ამიტომ ომიანობა თავისთავად ზნეობრივად ხელს არ უნდა გვაღებინებდეს ენის წესების განმტკიცებისათვის მუშაობაზედ; თუნდაც იმიტომ, რომ ბრძოლის ველიდან დაბრუნებულ დასახიჩრებულ მეომრებს უთხრათ: როცა თქვენ ბრძოლის ველზე სისხლსა ჰღვრიდით, ჩვენ აქ დიად ეროვნულ საქმეზედ გვქონდა ომი: ენის წესებს ვამკვიდრებდითო.

მ. შალამბერიძე.

შენიშვნა

(ქართული მართლწერა ივანე მაჭავარიანისა).

ბ. ივანე მაჭავარიანი უსაყვედურებს „ჩემის აზრით" მოლაპარაკეს, ესე იგი ვინც მოქმედებითი ბრუნვაში ზედშესრულს და ნაცვალსახელს ხმარობს „ს"-ნითო, მართლაც, ძველი ფორმის ხმარება ვერ არის სასურველი, როდესაც ახალი ფორმაა: „ჩემი აზრით", უადვილესიცაა გამოსათქმელად და უკეთილხმოვანესიც.

მაგრამ, ვინც სხვას უწუნებს ამა თუ იმ ფორმის ხმარებას, თვითონაც არ უნდა ხმარობდეს, თორემ უნებლიედ დაარღვევს იმ კანონს, რომელსაც იცავს. ბ. ივანე მაჭავარიანი ხმარობს ფორმებს: „შეთანხმება არსებითი სიტყვისა და განმარტებისა", ვაშლისა, ვაშლებისა, ხარისა, ხარებისა; ჩოხისა, ჩოხებისა; მებაღისა მებაღეებისა; კაცისა, კაცებისა და სხვ. აქ ჩამოთვლილ სიტყვების დაბოლოვება „ისა", ძველი ფორმაა ნათესაობითი ბრუნვისა, ახლა მის მაგიერ იხმარება „ის". მაგალ., სიტყვის, განმარტების, ვაშლის, ვაშლების, კაცის, კაცების და სხვა...

ამბობენ: სიტყვის შემდეგ, განმარტების შედეგი, კაცის გონება და სხვა... და არა სიტყვისა შემდეგ, კაცისა ჭკუა, ხარისა რქა და სხვა...

აგრეთვე ბ. ივანეს ფორმებია: ვაშლსა, ვაშლებსა; კაცსა, კაცებსა და სხვა... აქაც „სა" ძველი ფორმაა და მიცემითი ბრუნვისა. ახალი ასე არის: კაცს, კაცებს; ვაშლს, ვაშლებს. ეს უკანასკნელი დაბოლოვება ნათესაობითი და მიცემითი ბრუნვისა უპირველესიც გახლავთ და უკეთილხმოვანესიც.

ამიტომ ბ. ივანე მაჭავარიანი, თუ დამცველი ბრძანდება ახალი ფორმების, ძველს ნუღარ ხმარობს.

ბ. ივანეს მოჰყავს ნაცვალსახელები სახელობითი ბრუნვაში: ამისი, იმისი, მაგისი.

მაგრამ ამისთანა ფორმებით ნაცვალსახელები სახელობითი ბრუნვაში არ არსებობს. არის ნაცვალსახელი კუთვნილებითი: ეს, ეგ, რომლისაგან წარმოსდგა ნათესაობითი ბრუნვაში „ამის", ის, იგი, რომლისაგან წარმოსდგა „იმის" და „მაგი", რომლისაგან წარმოსდგა „მაგის".

წინადადება: „ავთანდილს მის ერთგულ ასმათმა მოახსენა", რუსთველისებურ კანონსაც მოკლებულია და ახალსაც, რადგანაც არც რუსთველს აქვს ამნაირად ნახმარი და ახალსაც ეწინააღმდეგება.

მაგალითად: „ავთანდილს მისმა ერთგულმა ასმათმა მოახსენა". ახლანდელ მარტივ ლიტერატურულ ენით ასე უნდა გამოითქვას. ზოგს უყვარს რუსთველის ენის მიბაძვა და სწერს: „მის შვილმა, მის მამამ"; „მისმა შვილმა და მისმა მამამ-ს მაგიერ და ამახინჯებს ენას.

ბოლოს მოვახსენო უნდა ბ. ივანე მაჭავარიანს: არა თუ დედა-ენა, არამედ მოელი ქართული ლიტერატურა გაჟღენთილია ძველი ფორმებით; თქვენც კი ვერ ასცდენიხართ, ბატონო, ძველ ფორმებს, როგორც ზემოდ მოგახსენეთ. მაგრამ დანაშაულად არ უნდა ჩაითვალოს ძველი ფორმის ხმარება, თუმც არა სასურველია, რადგანაც ყველა ხმარობს ძველ ფორმასაც და არა ერთი მარტო.

ამ კითხვებს შემდეგ დავუბრუნდები.

გერასიმე იმნაიშვილი.

ჩვენი ცხოვრება

ბათომი. ქალაქის არჩევნების სია დამთავრდა. ამომრჩეველთა რიცხვი 477. მათგან 395 კაცი მესაკუთრეა, 89—ვაჭარი. ეროვნებათა მიხედვით ორასზე მეტი ქართველია, 125 სომეხი, დანარჩენი სხვა და სხვა ტომისანი არიან, მათ შორის ქართველი მაჰმადიანები. არჩევნები 21 ივნისისათვის არის დანიშნული.

ქალაქის კომენდატნა ორი განცხადება გააკრა ქუჩებზე: პირველი განცხადების მიხედვით ადგილობრივ მცხოვრებთ უფლება ეძლევათ იმ აჭარელთა მოსავლით ისარგებლონ, ვინც ომის დროს თავი გაანებეს აქაურობას და გარდაიხვეწნენ ოსმალეთში. მათი მამული გარდაეცემა მცხოვრებთ იმ პირობით, რომ მოსავლის ნახევარი ხაზინის სასარგებლოდ განსაზღვრულ ადგილამდე ჩაზიდულ იქმნას, დანარჩენი გამრჯელმა მოიხმაროს. ეს დადგენილება ეხება ბათომის ოლქის მცხოვრებთ. ზემო და ქვემო აჭარელთა დატოვებული მამული დარჩება შინ დარჩენილთა სასარგებლოდ, გონიისა, შავშეთ-იმერხევის ნაწილში—ამ უკანასკნელთა მცხოვრებთ; ართვინისა და არდანუჩის ოლქში—ართვინის მცხოვრებთ, ქალაქ ართვინის მამულები ართვინის მცხოვრებთ განსაკუთრებულ პირობებით უბრუნდებათ. პირობები ბრძანებაში არ არის აღნიშნული. ამისთვის სდგება ადგილობრივი კომიტეტი. ბათომის ოლქში მიტოვებული ზეთის ხილის ჭალები, ხილის ბაღები, საჩაე პლანტაციები და სხვა ქუთაისის სამეწადმფლობელო და სახელმწიფო ქონებათა მართველობას იჯარით მიეცემა. ამავე ბრძანებაში გამოცხადებულია ფასები, თუ მცხოვრებნი მოინდომებენ სამხედრო უწყებას მიჰყიდონ მოსავლის ნაწილი, მაშინ ფუთი თივა ეღირება 30 კაპ., ქერი—50 კ., ბზე—20 კაპ.

მეორე ბრძანებას მხედველობაში აქვს ქ. ბათომის მცხოვრებთა უზრუნველყოფა პირველ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამისთვის დადგენილია ყოველ თვის 1 და 15 ნიხრი იყოს გადასინჯული და დასამტკიცებლად გაეგზავნოს ადმინისტრაციას. შემდეგ, ყველა ვაჭრებს ებრძანა კომისიას აცნობონ თუ ვის რაოდენი სურსათი აქვს. თუ ვისმე აღმოაჩნდა დაფარული, მაშინვე კონფისკაციას მოახდენენ. ბათომშივე არსდება მზრუნველთა ინსტიტუტი, რომელმაც ვაჭრობას უნდა ადევნოს თვალი,

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ხილის მაზანდა.

ამხანაგობა „ქართლი" ამით აცხადებს, რომ 26-ს მაისს თბილისის ბაზარზედ გაიყიდა:

ხენდრო	6	მან.
ბალი წითელი	7	„
ბალი თეთრი	4	„
ალუბალი	6	„
ატამი	8	„
ტყემალი	2	„
კომბოსტო	1—60	
27-ს გოგრა ბალი	4—50	
თეთრი ბალი	4	მ.
ალუბალი	6—50	
ატამი	9	მან.
ტყემალი ნამყ.	3	„
28-ს ალუბალი	6	„
თეთრი ბალი	4	„
ნამყენი ტყემალი	3	„
კომბოსტო	1—20	
კარტოფილი 1 ხარის.	3	მან.
„ 2 ხარის.	2	„

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან გადის:

თბილისიდან	8 ს.	13 წ.	დილ.
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	8 „	40 „	„
ნავთლუღ-კახეთ.	8 „	58 „	„
ვაზიანიდან	10 „	06 „	„
ივრიდან	21 „	15 „	„
საგარეჯოდან	11 „	58 „	„
ბადიაურიდან	12 „	56 „	„
მელაანიდან	2 ს.	16 წ.	საღ.
გურჯაანიდან	3 „	37 „	„
კარდენახიდან	4 „	12 „	„
წნორის-წყალზე	4 „	44 „	„

გურჯაანიდან-თელავამდე № 7.

გურჯაანიდან	3 ს.	42 წ.	საღ.
ვაჩნაძიანიდან	4 „	33 „	„
თელავში	5 „	27 „	„

თბილისისკენ მოდის:

წნორის-წყალიდან	8 ს.	58 წ.	დილ.
კარდანახიდან	9 „	41 „	„
გურჯაანიდან	10 „	24 „	„
მელაანიდან	11 „	39 „	„
ბადიაურიდან	12 „	59 „	დღ.
საგარეჯოდან	2 „	80 „	„
ივრიდან	2 „	50 „	„
ვაზიანიდან	3 „	55 „	„
ნავთლუღ-კახეთ.	4 „	58 „	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	5 „	13 „	„
თბილისში	5 „	28 „	„

თელავიდან-გურჯაანამდე № 8.

თელავიდან	8 ს.	54 წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან	9 „	25 „	„
გურჯაანში	10 „	07 „	„

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან	12 ს.	54 წ.	დღ.
№ 4 ბათომიდან	5 ს.	55 წ.	საღ.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი)	7 ს.	41 წ.	საღ.
№ 10 ბათომიდან	9 ს.	51 წ.	დილ.
ჯულფიდან	6 ს.	53 წ.	დილ.
ბორჯომიდან	7 ს.	25 წ.	დილ

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათომისკენ	1 ს.	45 წ.	დღ.
№ 4 ბაქოსკენ	7 ს.	3 წ.	საღ.
№ 6 ბაქოს (სწრაფი)	12 ს.	8 წ.	დღ.
№ 9 ბათომისკენ	8 ს.	53 წ.	საღ.
ჯულფისკენ	10 ს.	23 წ.	საღ.
ბორჯომისკენ	3 ს.	29 წ	დღ.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა.

25—5

მეხილეთა ამხანაგობა

„ქართლი"

„ქართლის" კოოპერატიულ მაღაზიაში (ძველი სემინარიის შენობა) ყოველდღე ჩამოდის ახალი ხილი ამხანაგობის წევრებისაგან. მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ყოველნაირი ხილი იაფად. წ.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.

განუოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილ", სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი"** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ყოველდღიური საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

თანამედროვე აზრი

გაზეთი ღირს: მთელი წლით—7 მან., ნახევარი წლით—4 მან., 3 თვით—2 მ. 50 კ.; ერთი თვით თბილისში—80 კაპ., თბილისს გარეთ—90 კაპ.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, поч. ящ. 199; Евгенію Илларіоновичу Урушадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. წერილები კი უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, „Танамедрове Азри", почтов. ящ. 199.

კანტორის ადრესი: თბილისი, ბარონის ქუჩა, № 15.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალო ფურცელი"

სურათებიანი დამატებით

1-ლ მაისიდან წლის დამლევამდე ღირს 6 მან.

რედაქციის მისამართი: სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი. **ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Пурцели". поч. ящ. 190.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„საშობლო"

(გამოდის ქუთაისში)

ყოველ კვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".** ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე

ასწრაფ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან